სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/65

ქ. თბილისი 16 მაისი 2023 წ.

პროფესორ დოქტორ ზდისლავ კრასნოდებსკის

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის და აკადემიური საბჭოს 2023 წლის 16 მაისის № 01-05-04/12 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან მრავალმხრივი თანამშრომლობისათვის, ევროპისა და ევროკავშირის აკადემიურ სივრცესთან კიდევ უფრო დაახლოებისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ევროპისა და ევროკავშირის სამეცნიერო ფორუმებში განსაკუთრებული მხარდაჭერისათვის პროფესორ დოქტორ ზდისლავ კრასნოდებსკის მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება (Doctor Honoris Causa).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**